

თელავის მუნიციპალიტეტში მდ. დიდხევზე 4.22 მგვტ დადგმული სიმძლავრის ართანა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე

12 აპრილი, 2017

ქვემოთ წარმოგიდგინებთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებსა და კომენტარებს თელავის მუნიციპალიტეტში მდ. დიდხევზე 4.22 მგვტ დადგმული სიმძლავრის ართანა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის¹ თაობაზე:

პროექტის საჭიროება

პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთების მიზნით, გზმ ანგარიშში წარმოდგენილია სამი თავი: 1.2 „პროექტის დასაბუთება“, 3.1 „არაქმედების ალტერნატიული ვარიანტი“ და 6.11 „ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე“.

ანგარიშის მიხედვით, ართანა ჰესის საჭიროება დასაბუთებულია შემდეგნაირად: ჰესი „არადეფიციტურ სეზონზე შეამცირებს დატვირთვას საქართველოში მოქმედი საბაზო სადგურებზე, რაც ამ უკანასკნელს მისცემს საშუალებას რეზერვუარებში წყალი დააგროვონ და უფრო მეტი დატვირთვით იფუნქციონირონ დეფიციტურ სეზონზე“. თუმცა ანგარიშში საერთოდ არ გვხვდება მონაცემი, თუ კონკრეტულად რამდენად შეამცირებს ეს ჰესი მოქმედი საბაზო სადგურების დატვირთვას და რამდენად გაიზრდება დიდი საბაზისო სადგურების გამომუშავება დეფიციტურ პერიოდებში პროექტის განხორციელების შედეგად. აღსანიშნავია რომ პროექტში წარმოდგენილი ინფორმაცია არ მოიცავს კონკრეტულ ციფრებს და არ არის გაკეთებული შედარებითი ანალიზი იმ ზიანთან, რაც მიადგება ბუნებრივ და სოციალურ გარემოს.

პროექტის კიდევ ერთ სარგებელი, რომელიც ანგარიშშია ასახული, ეხება ქონების გადასახადს, რომელსაც კომპანია გადაიხდის ადგილობრივ ბიუჯეტში. თუმცა ანგარიშში არც ამ შემთხვევაშია კონკრეტული მონაცემები წარმოდგენილი.

ანგარიშში დასაქმება წარმოდგენილია როგორც პროექტის ძირითადი სარგებელი, რასაც პროექტი მოიტანს სოფლისთვის, თუმცა ანგარიშიდან არ არის ნათელი, თუ რა ვალდებულება აქვს ინვესტორს აღებული ადგილობრივი

¹ http://moe.gov.ge/res/images/file-manager/sajaro-ganxilva/artanahesi_20_02_2017/gzsh.

მოსახლეობის დასაქმების კუთხით. როგორც სხვა პროექტების მაგალითები გვაჩვენებს, ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად დასაქმებულია დაბალანაზღაურებად სამუშაო ადგილებზე და ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული პოზიციების დაკავებაც საკმაო სირთულეებთანაა დაკავშირებული (ფარავანი და შუახვევი ჰესის მაგალითები). აღნიშნულ ვარაუდს ამყარებს ამავე თავში გაკეთებული შემდეგი ჩანაწერი: „აღსანიშნავია, რომ დასაქმებასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული სახის ნეგატიური ზემოქმედების რისკებიც, კერძოდ: ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მოლოდინი და უკმაყოფილება“.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლე იქნება (რაც საქართველოს რეალობაში არ გვხვდება), აღნიშნული სარგებლის განხილვა როგორც ადეკვატური კომპენსაციის მიყენებული ზიანის საპირწონედ შეუძლებელია.

შესაბამისად, ანგარიშის 3.1 თავში „არაქმედების ალტერნატიული ვარიანტი“ გაკეთებული დასკვნა, რომ „პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი დადებითი მხარეები, მათ შორის, სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელი გაცილებით საგულისხმო იქნება, ვიდრე გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება“ არ შეესაბამება სინამდვილეს. შესაბამისად, ანგარიშში არსებული ინფორმაციის საფუძველზე პროექტის მიზანშეწონილობის დასაბუთება შეუძლებელია, რაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას წარმოადგენს.

ამასთან, არ არის განხილული და დათვლილი ის ზიანი, რომელიც მიადგება სხვადასხვა ეკოსისტემურ სერვისებს პროექტის განხორციელების შედეგად (უზრუნველყოფი სერვისები: სასმელი და სარწყავი წყლით მომარაგება, თევზი, ტყის მერქნული და არამერქნული რესურსები და სხვ. მარეგულირებელი რესურსები - ჰაბიტატის სერვისები - თევზების მიგრაცია და ა.შ). არ არის შესწავლილი აგრეთვე, თუ რა სარგებელს მიიღებდა სოფელი იმ შემთხვევაში თუ პროექტი არ განხორციელდებოდა (ტურიზმი ა.შ.).

„გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფის მიხედვით, „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს „დაგეგმილი საქმიანობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასებას“. გზშ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია იმდენად ბუნდოვანი და დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია ჩაითვალოს რეალურ არგუმენტად პროექტის სასარგებლოდ.

პროექტის ალტერნატივები

ანგარიშში არ არის წარმოდგენილი და შეფასებული დაგეგმილი პროექტის ალტერნატიული ვარიანტები, რაც ანგარიშის სერიოზული ნაკლოვანებაა. ანგარიში განიხილავს მხოლოდ პროექტის ტექნიკურ ალტერნატივებს, როგორცაა (1) ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტების განლაგების ალტერნატიული ვარიანტები; (2) სადაწნეო მილსადენის დერეფნის ალტერნატივები; (3) სათავე კვანძის ტიპის ალტერნატივები და (4) სადაწნეო სისტემის ტიპის ალტერნატივები, თუმცა პროექტის ისეთი ალტერნატივები, როგორცაა ახალი განახლებადი ენერჯიები (ქარი, მზე ა.შ.) ანგარიშში ნახსენებიც კი არ არის. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ავტორებს პროექტის ასეთი ალტერნატივების განხილვა ზედმეტად მიაჩნიათ, რაც ანგარიშის სერიოზული ნაკლოვანებაა და წარმოადგენს უარყოფითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის საფუძველს.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში მზიანი დღეების რაოდენობა წელიწადში 200-250 დღეების ფარგლებში მერყეობს. მზის პანელების და მასთან დაკავშირებული დანადგარების (ელექტროენერჯის შესანახი ახალი თაობის ბატარეები) წარმოების თვითღირებულება კი ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა და აღნიშნული ტენდენცია კიდევ უფრო აქტიურად გრძელდება, მაშინ როცა მათი

ეფექტურობა იზრდება სწრაფი ტემპით. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ალტერნატივების საფუძვლიანი ანალიზის შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა წარმოდგენილი პროექტის უპირატესად ჩათვლა.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებაა ისიც, რომ ალტერნატივებში რატომღაც საერთოდ არ არის ნახსენები ქსელში ჩართვის შესაძლებლობის მქონე მზის ინდივიდუალური მიკროსადგურების განვითარების შესაძლებლობა, რაც ასე ფართოდ და სწრაფად ვრცელდება აშშ-ს, გერმანიასა და სხვა ევროპულ ქვეყნებში.

ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხი

გზშ ანგარიშის 6.5.2.1 თავის (მდ. დიდხევის ბუნებრივ კალაპოტში წყლის ხარჯის შემცირება და სავალდებულო ეკოლოგიური ხარჯი) მიხედვით, ჰესის ექსპლუატაციის ეტაპზე, წყლის ხარჯის შემცირების გამო, დაირღვევა ეკოლოგიური წონასწორობა, უარყოფითი ზემოქმედება ექნება იქთიოფაუნაზე, წყალთან დაკავშირებულ ცხოველებსა და მცენარეებზე და მათ საბინადრო გარემოზე. აღსანიშნავია, რომ საპროექტო არეალში მოქცეულია არამარტო წითელი ნუსხის ნაკადულის კალმახი, არამედ წითელ ნუსხაში შემავალი ფლორისა (3 სახეობა) და ფაუნის (8 სახეობა) სხვა სახეობებიც, რომელთა საბინადრო გარემოზე მდინარეში წყლის დონის შემცირებას ექნება მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ანგარიშის მიხედვით, მართალია, გათვალისწინებულია ქვედა ბიეფში სავალდებულო ეკოლოგიური ხარჯის გატარება, თუმცა ეკოლოგიური ხარჯის დონის გაანგარიშება მოხდა, არა ბუნებრივ გარემოზე მისაყენებელი უარყოფითი ზემოქმედების შემცირების, არამედ მხოლოდ ინვესტორისთვის პროექტის რენტაბელობის მისაღები დონის მიღწევის უზრუნველსაყოფად. მხოლოდ აღნიშნული ჩანაწერიც კი საკმარისია იმისთვის, რომ პროექტზე არ გაიცეს დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და არ დაირღვეს საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ კანონის მოთხოვნები: „აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს და საარსებო პირობების გაუარესება“.

ამასთან პროექტით განსაზღვრულ ე.წ. „ეკოლოგიური ხარჯში“ არ არის გათვალისწინებული თავად სოფელი ართანას სასმელად და საირიგაციოდ საჭირო წყლის ოდენობა. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის შესწავლის გარეშე, მდინარეში მხოლოდ 0.308 მ³/წმ დატოვებით საფრთხის ქვეშ დგება თავად ამ სოფლის არსებობაც.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო დონორების ფინანსური დახმარებით (USAID), გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის მომზადდა გარემოსდაცვითი ხარჯის განსაზღვრის მეთოდოლოგია და მისი შესრულების პრაქტიკული სახელმძღვანელო, რათა დღეს არსებული ეკოლოგიური ხარჯის დატოვების 10%-იანი მავნე პრაქტიკა შეცვლილიყო. მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესში (მათ შორის, სავლელე გასვლებსა და გარემოსდაცვითი ხარჯის დადგენის პრაქტიკულ სავარჯიშოების შესრულებაში) აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ისე საკონსულტაციო ჯგუფების წარმომადგენლები, მათ შორის, წარმოდგენილი გზშ ანგარიშის ავტორი გამა კონსალტინგიც.

ახალი მეთოდოლოგია დეტალურად ასახავს იმ ნაბიჯებს, რომლის გადადგმაც არის აუცილებელი გარემოსდაცვითი ხარჯის სათანადო დონის განსაზღვრად. კერძოდ, გარემოსდაცვითი ხარჯის გამოსათვლელად განისაზღვრა შემდეგი ეტაპები:

1. გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების (გზშ) კვლევის სკოპინგი;
2. გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასებისთვის შესაბამისი ექსპერტთა გუნდის ჩამოყალიბება (ჰიდროლოგი, ეკოლოგი, სოციოლოგი ა.შ. კვლევის მამტაბიდან გამომდინარე);

3. მდინარეში შესასწავლი არეალისა და გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასებისთვის შესაბამისი ადგილების დადგენა;
4. საოფისე და საველე კვლევები თითოეული წინასწარგანსაზღვრული ადგილისთვის - ჰიდროლოგიური, მორფოლოგიური, ეკოლოგიური და სოციალური;
5. შესადარებელი პირობების დეფინიცია (reference conditions);
6. მდინარის მონაკვეთების კლასიფიკაცია და არსებული მდგომარეობის განსაზღვრა;
7. გარემოსდაცვითი ხარჯის მიზნების განსაზღვრა;
8. თითოეული განსაზღვრული ადგილის (საიტის) ჰიდროლოგიური დახასიათება;
9. მინიმალური (Survival flow) ხარჯის განსაზღვრა - მდინარის ისტორიული მინიმუმი;
10. ეკოლოგიური და სოციალური თვალსაზრისით ისეთი პერიოდების დადგენა, როდესაც წყალზე მოთხოვნა მინიმალურია;
11. ეკოლოგიური და სოციალური თვალსაზრისით ისეთი პერიოდების დადგენა, როდესაც წყალზე მოთხოვნა მაქსიმალურია;
12. გარემოსდაცვითი ხარჯის რეჟიმების განსაზღვრა;
13. მონიტორინგი და ანგარიშგება.

მიუხედავად აღნიშნულისა, ართანა ჰესის გზშ ანგარიშში კვლავ მეორდება გარემოსდაცვითი ხარჯის განსაზღვრის საქართველოში ზეპირსიტყვიერად მიღებული 10%-ის დატოვების მანკიერი პრაქტიკა, ნაცვლად, გარემოსდაცვითი ხარჯის დასადგენად ახალი მეთოდოლოგიის გამოყენებისა, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა ეკოლოგიური და სოციალური საჭიროებები. მართალია, ახალი მეთოდოლოგია არ არის დამტკიცებული, თუმცა ნათელია, რომ არსებული პრაქტიკის გამოყენებით დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის გაცემით დაირღვევა საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა.

ზოგადი სახის შენიშვნები

1. საჯარო განხილვისათვის წარმოდგენილი გზშ ანგარიში მეტად დაბალი ხარისხისაა. დოკუმენტში სუსტადაა წარმოდგენილი პროექტის მიზანშეწონილობის დასაბუთება, პროექტის საჭიროება; თუ რა მიზანს ემსახურება პროექტი და რა კონკრეტულ სარგებელს მოუტანს აღნიშნული საწარმოს ფუნქციონირება რეგიონს და ზოგადად, ქვეყანას.
2. გზშ ანგარიშში მეტად ზედაპირულადაა განხილული, თუ რა ზეგავლენა ექნება პროექტს გარემოზე, ახლომდებარე დასახლებულ არეალზე; არ არის შეფასებული ზეგავლენის მნიშვნელობა, მასშტაბები და შესაბამისად არ არის დადგენილი შემარბილებელი ღონისძიებები. ანგარიშში არასრულყოფილად არის განხილული ზეგავლენა სოფ. ართანას მოსახლეობაზე.

ყურადსაღებია, რომ, სოფ. ართანას მოსახლეობა მდ. დიდხევს იყენებს სასმელ წყლად. როგორც დოკუმენტში არის აღნიშნული, საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდებას, თუმცა არ არის დაზუსტებული, რამდენი კუბამეტრის მიწოდებას აპირებს მოსახლეობისათვის და რამდენი დარჩება მდინარეში?

3. ჰიდროლოგიური კვლევები ემყარება მდ. დიდხევზე დაკვირვებული მონაცემების უწყვეტ 44 წლიან რიგს (1946-1989). რაც ასევე არ იძლევა მყარი დასკვნების გაკეთების საშუალებას. მდ. დიდხევზე მყარი ჩამონადენის საანგარიშო სიდიდეების დასადგენად გამოყენებულია აგრეთვე ძველი - 1969 წლის პერიოდის მონაცემები. ფაქტიურად, არ არსებობს ბოლო 28-48 წლის დაკვირვების მონაცემები, რაც ანგარიშში წარმოდგენილ გათვლებს სანდოობას უკარგავს.
4. გზმ დოკუმენტში ნათქვამია, რომ დაგეგმილია სამშენებლო ბანაკების მოწყობა. თუმცა, არ არის წარმოდგენილი მათი განთავსების ადგილები. ანგარიშში ნათქვამია, რომ „სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო ბანაკ(ებ)ის მოწყობის, მათი განლაგების ადგილმდებარეობის და მოსაწყობი ინფრასტრუქტურის საკითხი დაზუსტდება მშენებელი კონტრაქტორის გამოვლენის შემდგომ“. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი საჭიროებს ნებართვის გაცემამდე დაზუსტებას.
5. ამასთან, მაშინ, როდესაც დაგეგმილი ჰესი დერივაციული ტიპის ჰესია და ითვალისწინებს წყლის უდიდესი ნაკადის - 90%-ის - სადერივაციო გვირაბში გადაგდებას, პროექტის პოტენციური ზეგავლენებისადმი მიძღვნილ თავში ძირითადად რატომღაც საუბარია მხოლოდ და მხოლოდ ჰესის წყალსაცავის მშენებლობითა და ოპერირებით გამოწვეულ ზემოქმედებებზე.
6. საერთოდ არაფერია ნათქვამი, რა სახის ზეგავლენას იქონიებს (სახეობების მიხედვით) ფლორაზე ზედაპირული წყლისა და მიწისქვეშა წყლების შემცირება.
7. ანგარიშის მე-14 ქვეთავში განხილულია ნარჩენების მართვის საკითხები, თუმცა ამ თავში წარმოდგენილი ინფორმაციიდან მხოლოდ რამოდენიმე აზრადი ეხება უშუალოდ პროექტს – დანარჩენი უბრალოდ ნარჩენების მართვის თეორიული საკითხების მიმოხილვაა. მაგალითისთვის, ანგარიშის თანახმად, საშიში და ჩვეულებრივი სახის ნარჩენები შეგროვდება და განთავსდება სხვადასხვა სახის კონტეინერებში. თუმცა, დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია არ იძლევა იმის გარკვევის საშუალებას, საბოლოოდ რა დაემართება ამ ნარჩენებს და სად მოხდება მათი საბოლოო განთავსება; აგრეთვე, არ არის მითითებული, თუ ვინ იქნება პასუხისმგებელი წარმოქმნილი ნარჩენის საბოლოო განთავსებაზე.

თუკი პროექტის განმახორციელებელი ნარჩენებს ნაგავსაყრელებზე განათავსებს, მაშინ გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისიც, რომ საქართველოში არსებული ნაგავსაყრელების უმეტესი ნაწილი ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ გარემოსდაცვით სტანდარტებსაც კი. ამდენად, აუცილებელია, შესწავლილ იქნეს პროექტის შედეგად წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების ზეგავლენა ნარჩენების განთავსების ადგილებზე და დოკუმენტში ზუსტად იქნეს წარმოდგენილი, ნარჩენების საბოლოო განთავსების ადგილი.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ 2017 წ. 6 აპრილს ჩატარებული საჯარო განხილვა (რომელსაც ვერც კი დავარქმევთ საჯარო განხილვას ქვემოთ აღწერილი გარემოებების გამო), ატარებდა მეტად ფორმალურ ხასიათს. საჯარო განხილვა ჩატარდა თელავის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში: განხილვისთვის განკუთვნილი ფართი არ იყო საკამარისი განხილვაში მონაწილეობის მსურველი მოქალაქეებისთვის; დარბაზი სავსე იყო და დამწრეთა უმეტესი ნაწილი ფეხზე იდგა. ფეხზე დასადგომი ადგილიც რომ აღარ დარჩა, საჯარო განხილვაზე მოსული დაინტერესებულები პირები დისკუსიას დარბაზის გარედან ადევნებდნენ თვალიყურს. კომპანიისთვის შენიშვნების წარდგენა, იმის გამო, რომ სიტუაცია მეტად

დამაბული იყო, ვერ მოხერხდა. პროექტის განმახორციელებელმა არ წარადგინა პროექტი - დაგეგმილ საქმიანობაზე ინფორმაციის წარდგენა სულ რამოდენიმე წინადადებით შემოიფარგლა.

ზემოთ მოყვანილი შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, საჯარო განხილვისთვის წარმოდგენილი სახით გზშ ანგარიშის წარდგენა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის / გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად, ყოვლად მიზანშეუწონელია.